ადრესატი:

ნუკრი დეკანაძე
ადმინისტრაცია-ადმინისტრაციის უფროსი

წერილის ნომერი:**02-142036522**
თარიღი: **30/12/2020**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

მერიის ადმინისტრაციის უფროსს

ბატონ ნუკრი დეკანაძეს

ბატონო ნუკრი,

თქვენი 21/12/2020 წლის #19/1420356177-14 წერილის პასუხად გაცნობებთ :

2010-2013 წლებში ერთის მხრივ შვეიცარიის მთავრობას, წარმოდგენილი შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და მეორეს მხრივ ადგილობრივ თვითმმართველობასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე აშენდა 2 ორსართულიანი 7-8 ბინიანი და 1 სამსართულიანი 14 ბინიანი შენობა. „საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“ პროექტის ფარგლებში მოთხოვნილი კრიტერიუმების საფუძველზე შეირჩა პოტენციური ბენეფიციარები, რომელთა შესწავლა მოხდა კომისიური წესით. პროექტის თანახმად 2010-2013 წლებში დაკმაყოფილდნენ 15 სოციალურად დაუცველი ადგილობრივი და 14 იგპ ოჯახები. ქ. ბათუმის მერიამ ამ პროექტის ფარგლებში უზრუნველყო აღნიშნული შენობების მიერთება გარე ინფრასტრუქტურასთან (გაზი, ელექტროქსელში ჩართვა, ინდივიდუალური მრიცხველის დაყენება და მონტაჟი) და საჭირო ავეჯითა და საბაზისო დანადგარებით. აღნიშნული პროექტი არ ითვალისწენებდა საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემას, გადაეცათ დროებით სარგებლობაში.

2014 წლის მაისიდან ხორციელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიზნობრივი პროგრამა პროექტი „დროებითი ღამის თავშესაფარი“, რომელიც ითვალისწინებს 30 ბენეფიციარისთვის ღამის გათევას, ორჯერადი კვებით და სუფთა ტანსაცმლით უზრუნველყოფას, საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების გაწევას. (დანარჩენი წლები იხილეთ დანართის სახით)

2013-2014 წლის ზამთრის პერიოდში უსახლკარო პირებისათვის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებული იყო დროებითი თავშესაფარი ყოფილი „ბავშვთა სახლის“ შენობაში, რომელიც ითვალისწინებდა ღამის გათევას (30 ბენეფიციარი). რომელიც გაგრძელდა ზემოთაღნიშნული პროგრამის სახით. ბინის ქირის გადახდის საკითხთან დაკავშირებით საჭიროების შემთხვევაში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდიდან ხდება თანხის გამოყოფა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა

პირთა მატერიალური დახმარების გაწევის შემსწავლელი მუდმივმოქმედი საბჭოსი“ და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის“ გადაწყვეტილებით.

2010-2013 წლებში „საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“ პროექტის ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიხარჯა 58 900 ლარი.

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული 2013 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის N15 „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად პროექტის „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა“ უსასყიდლოდ დაკმაყოფილდა 5 მრავალშვილიანი (3 - 7 შვილიანი, 9 და 10 შვილიანი) ოჯახი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 126 750 ლარი ზემოთაღნიშნული ბინების სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად, შესაბამისად პროექტი გრძელდება.

სოფიო მიქელაძე

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური-ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი